

**შეჯამება:** ამ ინფორმაციის ელექტრონულად გადაცემა, გამოქვეყნება ვებ გვერდზე ან მედიის სხვა საშუალებებით გავრცელება აკრძალულია 2005 წლის 1 ნოემბრის 17:00 საათამდე გრინვიჩის დროით



# მსოფლიო ბანკი

საინფორმაციო ცნობარი No.  
2005/402/S

საკონტაქტო მონაცემები:  
Merrell Tuck-Primdahl, work ph# 202 473-9516  
Global mobil # 202 415-1775  
[mtuckprimdahl@worldbank.org](mailto:mtuckprimdahl@worldbank.org)

## აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად და სიღარიბის დასაპლევად მეთი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნა საჭირო, აცხადებს მსოფლიო ბანკი

**გაშინებთონი, კოლუმბიის ოლქი, 1 ნოემბერი, 2005 წ.** – აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა სამუშაო ადგილების ნაკლებობის პრობლემის წინაშე დგას. დასაქმების დონის ზრდას მხოლოდ ისეთი პოლიტიკის გატარებამ შეიძლება შეუწყოს ხელი, რომელიც საწარმოთა რესტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა, ნათქვამია მსოფლიო ბანკის მიერ დღეს გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ანგარიშის სათაურია “დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში”. მასში განხილულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე 27 ქვეყნის შრომის ბაზარების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც 15 წლის წინ კომუნიზმი დაემხო. ანგარიშში პასუხია გაცემული სამი ძირითადი ტიპის კითხვებზე: რა ზემოქმედება მოახდინეს ეკონომიკურმა ცვლილებებმა შრომის ბაზარზე? რა წინსვლას მიაღწიეს ქვეყნებმა და რა აბრკოლებს მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნას? როგორი პოლიტიკა შეუწყობს ხელს სამუშაო ადგილების შექმნას?

მიუხედავად იმისა, რომ გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თვალსაზრისით აღნიშნულმა რეგიონმა წარმატებას მიაღწია, ერთიერთი მნიშვნელოვანი და ნაკლებად წარმატებული სფეროა სამუშაო ადგილების შექმნა.

*“თუ დასაქმების მაჩვენებლები არ გაუმჯობესდა, 1998 წლიდან სიღარიბის დაძლევაში მიღწეული წინსვლა შეიძლება შეფერხდეს, რაც შეასუსტებს მოსახლეობის მხრიდან რეფორმის მხარდაჭერას”,* - გვაფრთხილებს არუპ ბანერჯი – მსოფლიო ბანკის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის (ECA) ჰუმანიტარული განვითარების ეკონომიკის განყოფილების სექტორის მენეჯერი, რომლის ხელმძღვანელობითაც მოცემული ანგარიში შემუშავდა.

*“თუმცა გარდამავალ პერიოდში უმუშევრობა ბუნებრივი მოვლენა იყო, მისი ხანგრძლიობა მოულოდნელი აღმოჩნდა”, - განმარტავს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის წამყვანი ეკონომისტი და აღნიშნული ანგარიშის თანაავტორი იან რუტკოვსკი.*

*სტრუქტურული ცვლილებების გამო ბევრმა მუშამ ახალი სამუშაო ვერ იპოვა. მათი დიდი ნაწილი წელიწადზე დიდხანს უმუშევარი დარჩა ან ნაკლებად პროდუქტიული სამუშაო იპოვა. ევროკავშირის ზოგიერთ ახალ წევრ ქვეყანაში, აგრეთვე გაწევრიანების კანდიდატ ზოგიერთ ქვეყნებში უმუშევრობის პროცენტი ორნიშნა ციფრითაა გამოსახული. დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამშრომლობის ქვეყნებში პრობლემა სამუშაო ადგილების ხარისხში მდგომარეობს – სამუშაო ნაკლებად პროდუქტიული და დაბალანაზღაურებადია,” – აღნიშნავს სტეფანო სკარპეტა – ამ ანგარიშის თანაავტორი, მსოფიო ბანკის ვიცე პრეზიდენტის მრჩეველი შრომის ბაზრების საკითხებში, წამყვანი ეკონომისტი ჰუმანიტარული განვითარებისა და სოციალური დაცვის სფეროში.*

ანგარიშის ავტორები მოუწოდებენ აღნიშნულ ქვეყნებს რადიკალურად გააუმჯობესონ საინვესტიციო გარემო, კომპანიების მიერ ინვესტიციების ჩადებისა და პროდუქტიული სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების მიზნით. გარდა ამისა, ავტორების აზრით საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება მუშახელის მობილურობის ხარჯების შესამცირებლად, რისთვისაც საცხოვრებელი ბინებისა და გირაოს ბაზრები უნდა განვავითარდეს და ადამიანებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობა მიეცეთ.

დაახლოებით 4 000-ზე მეტი ბიზნესის მფლობელისა და მენეჯერის გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორებმა გააანალიზეს თუ რომელი ფაქტორები უქმნიან ან უკარგავენ კომპანიებს ინვესტირების და თანამშრომელთა აყვანის სტიმულს. მეწარმეთა აქტიურობის ჩამხშობ ძირითად ფაქტორებად მიჩნეულია ეკონომიკური და პოლიტიკური გაურკვეველობა, კორუფცია, მაღალი გადასახადები, არაეფექტური სასამართლო.

კონკრეტული ქვე-რეგიონისათვის შეშუშავებული რეკომენდაციები უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შესაქმნელად ამ ქვე-რეგიონის მთავრობებმა თავისი ქვეყნის სპეციფიკის შესაბამისად შემდეგი ღონისძიებები უნდა განახორციელონ:

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, უმუშევრობის მაღალი დონის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, მიუხედავად ბოლო დროს მიღწეული პროგრესისა, საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად კიდევ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას, ქონების რეგისტრაციის გამარტივებას, ხელშეკრულებების პირობების რეალური შესრულების უზრუნველყოფას. აგრეთვე საჭიროა საპენსიო და სოციალური დაცვის სისტემების რეფორმა, როგორც მუშახელთან დაკავშირებული გადასახადების შემცირების საშუალება.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში საჭიროა ზომების მიღება ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნისა და მუშახელთან დაკავშირებული გადასახადების შემცირების მიზნით. ეს უკანასკნელი საპენსიო და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმასთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს. გარდა ამისა, ქვეყნებმა ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი რეფორმა უნდა გაატარონ შრომის ადაპტირებადი ბაზრის შესაქმნელად, სადაც მუშახელის უფლებები ეფექტურად იქნება

დაცული, მაგრამ დამქირავებლები ზედმეტად შეზღუდულნი არ იქნებიან თანამშრომელთა ოდენობისა და კვალიფიკაციის სტრუქტურის შეცვლისას.

დსთ-ს საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში (როგორცაა ყაზახეთი, რუსეთი და უკრაინა) უმუშევართა რიცხვი ნაკლებია, მაგრამ დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების რაოდენობა, რადგანაც ბევრი ადამიანი დაბალი პროდუქტიულობის სამუშაოზე დასაქმებული. ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება უმაღლეს პრიორიტეტს წარმოადგენს. იგივე უნდა ითქვას შრომითი ურთიერთობების დერეგულირებაზე და შრომის ძირითადი ნორმების დანერგვაზე. ამასთან ერთად, უმუშევრობის სქემებისა და სხვა პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, უპერსპექტივო სამსახურის იძულებით შენარჩუნების აუცილებლობა უფრო ნაკლებ ადამიანს ექნება.

დსთ-ს მცირე შემოსავლიან ქვეყნებს კავკასიასა და ცენტრალური აზიაში არასაკმარისად განვითარებული ინსტიტუციონალური მოწყობა, ცუდი მმართველობა და არასაიმედო ინფრასტრუქტურა აქვთ. ამ ქვე-რეგიონისათვის შემუშავებული რეკომენდაცია ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების განვითარებას და ახალი ბიზნესის გახსნასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას. გარდა ამისა, საჭიროა, რომ დსთ-ს ლარებმა ქვეყნებმა აამაღლონ სახელმწიფო ინფრასტრუქტურის საიმედოობა, მოხსნან მოქმედი საბაჟო და სავაჭრო წესებით შექმნილი მძიმე ბარიერები და ხელი შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში მუშახელის რესურსებში ინვესტიციების ჩადების პროცესს, რადგანაც აღნიშნულ რეგიონში დასაქმების კონცენტრაციამ ფერმერულ სექტორში გადაინაცვლა.

*“იმის გამო, რომ სამუშაო ადგილებს ახლად დაარსებული, მცირე კერძო ფირმები ქმნიან, მთავრობებმა ბიზნესისთვის ხელსაყრელი რეფორმები უნდა გაატარონ. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საკმარისი იქნება დასაქმების ისეთი პროგრამებისა და პოლიტიკის განხორციელება, რომლებიც მუშახელის შენარჩუნებას ან უმუშევართა დაზმარებას ემსახურებიან”* –ასკენის სკარპეტა.

-- #### --

ემბარგოს ვადის გასვლამდე ყურნალისტებს საშუალება აქვთ იხილონ ეს მასალები ინტერნეტში, მსოფლიო ბანკის “პრესასთან ურთიერთობის კომპიუტერული ცენტრის” მეშვეობით, ელექტრონულ მისამართზე: <http://media.worldbank.org/secure>

აკრედიტირებულ ყურნალისტებს, რომლებსაც არ აქვთ პაროლი, შეუძლიათ მოითხოვონ იგი, რისთვისაც უნდა შეავსონ რეგისტრაციის ფორმა ელექტრონულ მისამართზე: <http://media.worldbank.org/>

ანგარიში და მასთან დაკავშირებული მასალები ხელმისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისათვის დაუყოვნებლივ, ემბარგოს ვადის გასვლისთანავე, ელექტრონულ მისამართზე: <http://www.worldbank.org/eca/ecajobsreport>